



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგალაშვილი თამაზ სერგოს ძე

გრიგალაშვილი თამაზ სერგოს ძე (11. XI. 1932, თბილისი, – 14. II. 2004, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1990).

დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1956), მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში (1956–70), ღუბნის (რუსეთი) ბირთვული გამოკვლევების გაერთ. ინ-ტში (1970–90). 1990–2004 იყო საქართვე. მეცნ. აკად. ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე.

კვლევის ძირითადი მიმართულებაა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა. მიღებული აქვს ბირთვულ გამოკვლევათა გაერთ. ინ-ტის პრემიები (1977, 1981 და 1985, სხვებთან ერთად), საქართვე. სახელმწ. პრემია (1986, სხვებთან ერთად) ნაშრომთა ციკლისათვის „ფარული უცნაურობის მქონე ბარიონული მდგომარეობების დამზერა და გამოკვლევა“.
